



2024 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-ივლისის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აგვისტო

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 14,570.7 მლნ ლარი

81.5%
9 თვის
გეგმის

59.3%
წლიური
გეგმის

გადასახდელები - 14,346.0 მლნ ლარი

78.2%
9 თვის
გეგმის



57.3%
წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
224.8 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
1,285.1 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-761.4 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა




ხარჯების სტრუქტურა




სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ივლისში შემოსულობების შესრულება 14,570.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 59.3%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,772.8 მლნ ლარით (13.9%-ით) აღემატება.





2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ივლისში გადასახდელების შესრულება 14,346.0 მლნ ლარს (წლიური გეგმის 57.3%) შეადგენს და 2,271.1 მლნ ლარით (18.8%-ით) მეტია წინა წლის 7 თვის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 17,880.5 მლნ ლარით, ხოლო 7 თვის შესრულება მის 81.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (82.2%) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები (75.0%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები შედარებით მაღალი შესრულების მაჩვენებლებით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის, შესაბამისად, 89.5%-ს და 90.9%-ს შეადგენს.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 18,336.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 7 თვის შესრულება 9 თვის გეგმის 78.2%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 78.6%-ს უტოლდება. კარგი მაჩვენებელი აქვს, ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს (79.1%). შედარებით მაღალი შესრულებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (89.4%), ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (69.3%).

[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 7 თვეში შეადგინა 1,285.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -761.4 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 7 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარი-ივლისში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 224.8 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 აგვისტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,802.1 მლნ ლარის ოდენობით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ივლისის თვის მარკენებლები



2024 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,122.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც ივნისის მარკენებელზე 210.5 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო წინა წლის ივლისის მარკენებელთან შედარებით 40.0 მლნ ლარით გაზრდილია (შემოსავლების კომპონენტის მატების გავლენით). რაც შეეხება 2024 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 2,546.9 მლნ ლარს, რაც ივნისის მარკენებელზე 618.0 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2023 წლის ივლისის მარკენებელთან შედარებით გაზრდილია 431.9 მლნ ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (81.6%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (16.4%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მარკენებელმა შეადგინა 42.5 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 0.5 მლნ ლარი.




2024 წლის ივლისში ხარჯების მარკენებელმა 2,043.0 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 366.3 მლნ ლარს და 28.6 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მარკენებელი 109.0 მლნ ლარს გაუტოლდა.





შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც ივლისში მიღებული შემოსავლების 93.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 76.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,613.8 მლნ ლარი, ივნისის მაჩვენებელზე 260.7 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად დაკავშირებულია დღგ-ის ზრდასთან (182.2 მლნ ლარით), ასევე, სხვა გადასახადების მატებასთან (აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 114.0 მლნ ლარით და -228.0 მლნ ლარს შეადგენს^[2]). მცირედით (21.1 მლნ ლარით) მომატებულია, აგრეთვე, აქციზი (იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის მატების გავლენით) და იმპორტის გადასახადი (2.3 მლნ ლარით). რაც შეეხება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებს, აღნიშნული გადასახადები შემცირებულია (შესაბამისად, 55.5 მლნ ლარით და 3.5 მლნ ლარით).



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი ივლისში გაწეული მთლიანი გადასახდელების 80.2%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა ივლისში შეადგინა 2,043.0 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,441.3 მლნ ლარი) 601.8 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად დაკავშირებულია პროცენტისა და სხვა ხარჯების მნიშვნელოვან ზრდასთან (შესაბამისად, 267.2 მლნ ლარით და 200.9 მლნ ლარით), ასევე, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების მატებასთან (116.1 მლნ ლარით). მცირედით მომატებულია, აგრეთვე, გრანტები (26.8 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების ხარჯები (7.6 მლნ ლარით). სუბსიდიებისა და შრომის ანაზღაურების მუხლებით ხარჯები შემცირებულია (შესაბამისად, 14.0 მლნ ლარით და 2.9 მლნ ლარით).

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ - (-311.1) მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ (-676.9) მლნ ლარი შეადგინა.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ივლისში მიღებული შემოსულობებისა (2,122.3 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,546.9 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ივლისის თვეში ნაშთის გამოყენებამ 424.6 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 14,570.7 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 86.7%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2022-2023 წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია (გადასახადების მატების გავლენით). რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი, 2022-2023 წლებთან შედარებით, ასევე, გაზრდილია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 83.5%-ს შეადგენს, 2022 წელს - 83.6%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი, წილობრივად მთლიან შემოსულობებში, 2022-2023 წლებთან შედარებით შემცირებულია (როგორც საშინაო, ისე საგარეო წყაროდან სახსრების კლების გავლენით): 2024 წელს ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 10.9%-ია (2023 წელს - 14.4%-ს და 2022 წელს - 14.2%-ს შეადგენდა). მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.4%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2023 წელს 2.1%-ს, ხოლო 2022 წელს 2.2%-ს შეადგენდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის 7 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით 7 თვეში მიღებულია 12,634.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 82.2% და წლიური გეგმის 60.9%, წინა წლის მაჩვენებელზე 1,948.0 მლნ ლარით (18.2%-ით) მეტი. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, 9 თვის გეგმასთან მიმართებით გადასახადები და სხვა შემოსავლები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო გრანტების მაჩვენებელი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-ივლისში მიღებული გადასახადებმა 11,528.9 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 82.0%-ს და წლიური გეგმის 60.3%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმასთან მიმართებით ყველა სახის გადასახადი ძირითადად კარგი შესრულებით ხასიათდება და 73.5%-93.5%-ის ფარგლებში მერყეობს (შესრულების მაღალი მაჩვენებლები აქვს აქციზსა და მოგების გადასახადს). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 9 თვეში მისი გეგმა განისაზღვრა -43.0 მლნ ლარით, ფაქტობრივად კი -117.2 მლნ ლარი შეადგენს.

2023 წლის 7 თვესთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 2,018.1 მლნ ლარით (21.2%-ით), რაც ძირითადად უკავშირდება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების და დღგ-ის მატებას (შესაბამისად, 57.6%-ით, 17.4%-ით და 12.7%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 429.7 მლნ ლარით (15.4%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ივლისში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4,273.8 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 482.2 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განული მომსახურებიდან შემოსულია 196.4 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 285.8 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 20.9%-ით (248.8 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (9.2 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (257.9 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 232.9 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 7 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მარგენებელი (185.0 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით გამოირჩევა და 104.5%-ს შეადგენს (წლიური გეგმის 69.6%), რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 7 თვეში მიღებულია 41.8 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე), აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან (9 თვის გეგმის 102.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი 69.6 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 77.3%) და საინვესტიციო გრანტები 12.1 მლნ ლარის ოდენობით (9 თვის გეგმის 44.6%).

სხვა შემოსავლები სახით იანვარ-ივლისში ბიუჯეტში მობილიზებულია 920.6 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 80.9% და წლიური გეგმის 68.2%, წინა წლის მარგენებელზე 65.1 მლნ ლარით (6.6%-ით) ნაკლები (ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების შემცირების გავლენით). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი შემოსულია საკუთრებიდან (62.2%, 572.5 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (18.4%, 169.4 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (99.4 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 89.5%-ს შეადგენს (წლიური გეგმის 49.7%), ხოლო წინა წლის მარგენებელს 28.6 მლნ ლარით (40.3%-ით) აღემატება.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობებს (245.5 მლნ ლარი) შესრულების შედარებით მაღალი მარგენებელი აქვს 9 თვის გეგმის 90.9% და წლიური გეგმის 81.8%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მარგენებელს 47.8 მლნ ლარით (24.2%-ით) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 7 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,591.3 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 75.0% (წლიური გეგმის 47.7%). საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 992.0 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 93.2%. კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 263.3 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 83.4%), ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 728.7 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 97.3%).


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარგენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 599.3 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 56.7%) შეადგინა.

	7 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	1,591.3	75.0%	47.7%
საგარეო	992.0	93.2%	54.0%
საბიუჯეტო კრედიტები	263.3	83.4%	58.5%
საინვესტიციო კრედიტები	728.7	97.3%	52.5%
საშინაო	599.3	56.7%	40.0%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს შესრულების მაჩვენებელმა 14,346.0 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 79.1%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-ივლისში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 79.9%-ს, ხოლო 2023 წლის იანვარ-ივლისში - 79.7%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2024 წლის იანვარ-ივლისში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 15.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.0% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 4.9%. 2023 წლის იანვარ-ივლისში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 13.9%-ის, 1.2%-ის და 5.2%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარ-ივლისში - 13.3%-ის, 0.9%-ის და 5.9%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 7 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



ხარჯების შესრულებამ იანვარ-ივლისში შეადგინა 11,349.3 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 78.6% და წლიური გეგმის 59.4%, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 1,721.2 მლნ ლარით (17.9%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (547.8 მლნ ლარი) მუხლზე. 9 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (81.9%), სუბსიდიების (80.7%), სხვა ხარჯების (80.3%), სოციალური უზრუნველყოფის (79.7%) და გრანტების (77.1%) მუხლები. 9 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურების (74.7%) და შრომის ანაზღაურების (75.0%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (1,013.9 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 615.5 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 398.4 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (4,485.1 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (3,251.7 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (923.4 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (220.0 მლნ ლარი).


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 7 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (2,145.9 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 79.1%-ს და წლიური გეგმის 51.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (924.4 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (190.7 მლნ ლარი), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (167.1 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (147.2 მლნ ლარი), ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (146.0 მლნ ლარი), ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (105.6 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (69.4 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (141.9 მლნ ლარი), 9 თვის გეგმის 89.4%-ს და წლიური გეგმის 46.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე 43.9 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე 72.9 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე 25.1 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)



ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (708.8 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 69.3%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 49.8%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 684.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	7 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	708.8	69.3%	49.8%
საგარეო	684.1	69.3%	49.6%
საშინაო	24.7	71.1%	57.8%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების 7 თვის შესრულება მოიცავს დამატებით 10 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 04) - 6.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- "მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა" (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 23.0 ათასი ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 4.3 ათასი ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს შესრულებას, იანვარ-ივლისში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,714.4 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 76.1% და წლიური გეგმის 58.0%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 689.1 მლნ ლარი, საიდანაც 382.8 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს, 305.7 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს და 0.6 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-ივლისში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 220.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 336.8 მლნ ლარის, 25.6 მლნ ლარის და 4.0 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 13,495.2 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 78.7% და წლიური გეგმის 57.9%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2024 წლის 7 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი)



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 7 თვის შესრულება	2024 წლის ნლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა*	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	12,797.9	24,569.5	17,880.5	14,570.7	81.5%	59.3%
შემოსავლები	10,686.4	20,731.0	15,377.6	12,634.5	82.2%	60.9%
გადასახადები	9,510.8	19,115.0	14,062.1	11,528.9	82.0%	60.3%
საშემოსავლო გადასახადი	3,250.4	6,345.1	4,758.0	3,816.3	80.2%	60.1%
მოგების გადასახადი	1,289.5	2,690.0	2,174.0	2,032.9	93.5%	75.6%
დღგ	3,791.6	7,388.3	5,384.1	4,273.8	79.4%	57.8%
აქციზი	1,192.8	2,375.0	1,678.0	1,441.6	85.9%	60.7%
იმპორტის გადასახადი	88.5	150.0	111.0	81.6	73.5%	54.4%
სხვა გადასახადები	-102.1	166.6	-43.0	-117.2	272.6%	-70.4%
გრანტები	190.0	266.0	177.1	185.0	104.5%	69.6%
სხვა შემოსავლები	985.7	1,350.0	1,138.4	920.6	80.9%	68.2%
არაფინანსური აქტივების კლება	70.8	200.0	111.0	99.4	89.5%	49.7%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	197.7	300.0	270.0	245.5	90.9%	81.8%
ვალდებულებების ზრდა	1,842.9	3,338.5	2,121.9	1,591.3	75.0%	47.7%
საგარეო	993.9	1,838.5	1,064.9	992.0	93.2%	54.0%
საშინაო	849.1	1,500.0	1,057.0	599.3	56.7%	40.0%
გადასახდელები	12,074.9	25,030.4	18,336.1	14,346.0	78.2%	57.3%
ხარჯები	9,628.2	19,120.9	14,441.7	11,349.3	78.6%	59.4%
შრომის ანაზღაურება	1,209.3	2,577.3	1,915.6	1,436.3	75.0%	55.7%
საქონელი და მომსახურება	1,162.8	2,232.0	1,708.1	1,276.1	74.7%	57.2%
პროცენტი	778.1	1,540.0	1,238.6	1,013.9	81.9%	65.8%
სუბსიდიები	482.4	1,044.9	740.0	597.1	80.7%	57.1%
გრანტები	690.5	1,513.0	1,156.0	891.0	77.1%	58.9%
სოციალური უზრუნველყოფა	3,937.3	7,470.4	5,629.6	4,485.1	79.7%	60.0%
სხვა ხარჯები	1,367.8	2,743.2	2,053.8	1,649.8	80.3%	60.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,676.5	4,180.6	2,713.4	2,145.9	79.1%	51.3%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	144.5	305.6	158.6	141.9	89.4%	46.4%
ვალდებულებების კლება	625.7	1,423.4	1,022.4	708.8	69.3%	49.8%
საგარეო	601.1	1,380.6	987.6	684.1	69.3%	49.6%
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	723.0	-460.9	-455.6	224.8		

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწესის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 7 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	10,686.4	20,731.0	15,377.6	12,634.5	82.2%	60.9%
გადასახადები	9,510.8	19,115.0	14,062.1	11,528.9	82.0%	60.3%
გრანტები	190.0	266.0	177.1	185.0	104.5%	69.6%
სხვა შემოსავლები	985.7	1,350.0	1,138.4	920.6	80.9%	68.2%
ხარჯები	9,628.2	19,120.9	14,441.7	11,349.3	78.6%	59.4%
შრომის ანაზღაურება	1,209.3	2,577.3	1,915.6	1,436.3	75.0%	55.7%
საქონელი და მომსახურება	1,162.8	2,232.0	1,708.1	1,276.1	74.7%	57.2%
პროცენტი	778.1	1,540.0	1,238.6	1,013.9	81.9%	65.8%
სუბსიდიები	482.4	1,044.9	740.0	597.1	80.7%	57.1%
გრანტები	690.5	1,513.0	1,156.0	891.0	77.1%	58.9%
სოციალური უზრუნველყოფა	3,937.3	7,470.4	5,629.6	4,485.1	79.7%	60.0%
სხვა ხარჯები	1,367.8	2,743.2	2,053.8	1,649.8	80.3%	60.1%
საოპერაციო სალდო	1,058.3	1,610.1	935.9	1,285.1	137.3%	79.8%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,605.7	3,980.6	2,602.4	2,046.5	78.6%	51.4%
ზრდა	1,676.5	4,180.6	2,713.4	2,145.9	79.1%	51.3%
კლება	70.8	200.0	111.0	99.4	89.5%	49.7%
მთლიანი სალდო	-547.4	-2,370.5	-1,666.5	-761.4	45.7%	32.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	669.8	-455.4	-567.0	121.1	-21.4%	-26.6%
ზრდა	867.5	305.6	158.6	366.7	231.2%	120.0%
გალუტა და დეპოზიტები	723.0	0.0	0.0	224.8		
სესხები	143.4	305.6	158.6	140.7	88.7%	46.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	197.7	760.9	725.6	245.5	33.8%	32.3%
გალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	455.6	0.0	0.0%	0.0%
სესხები	196.2	300.0	270.0	245.5	90.9%	81.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.5	0.0	0.0	0.0		
გალდებულებების ცვლილება	1,217.2	1,915.1	1,099.5	882.5	80.3%	46.1%
ზრდა	1,842.9	3,338.5	2,121.9	1,591.3	75.0%	47.7%
საშინაო	849.1	1,500.0	1,057.0	599.3	56.7%	40.0%
საგარეო	993.9	1,838.5	1,064.9	992.0	93.2%	54.0%
კლება	625.7	1,423.4	1,022.4	708.8	69.3%	49.8%
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
საგარეო	601.1	1,380.6	987.6	684.1	69.3%	49.6%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	25,030.4	18,336.1	14,346.0	57.3%	78.2%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	86.6	65.6	43.4	50.1%	66.2%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	54.4	36.1	50.3%	66.4%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	25.8	19.3	11.7	45.5%	60.6%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მუხრანის პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	6.6	5.4	61.4%	81.9%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	28.5	19.0	51.1%	66.8%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	28.5	19.0	51.0%	66.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.04	0.05	97.8%	130.4%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	9.6	6.3	49.4%	65.8%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.5	0.3	49.2%	62.5%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	1.0	0.6	47.8%	63.1%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.6	7.6	5.6	58.6%	74.4%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	0.9	0.6	0.4	50.8%	67.5%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	27.0	18.6	21.7	80.5%	117.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23.3	17.9	12.8	55.1%	71.6%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	171.2	129.2	65.4	38.2%	50.7%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	23.4	16.0	53.4%	68.1%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	1.7	1.3	62.2%	74.5%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	9.6	7.4	58.3%	77.8%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	94.5	40.8	32.2%	43.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.2	4.7	3.0	48.8%	64.4%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	17.4	13.1	9.4	54.0%	72.0%
09 00	საერთო სასამართლოები	137.5	100.2	61.1	44.5%	61.0%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	97.5	59.5	44.4%	61.0%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	2.7	1.6	46.3%	60.3%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10.6	7.6	3.3	31.6%	44.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.4	1.0	0.7	51.0%	67.2%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	0.5	48.7%	63.4%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.4	1.1	0.8	58.1%	73.8%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.6	53.0%	69.2%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	0.5	48.7%	64.2%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.7	58.9%	75.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	55.3%	72.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	1.2	0.7	50.8%	62.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	0.5	50.0%	64.7%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	162.0	114.2	54.4%	70.5%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	121.0	87.5	54.3%	72.3%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	38.3	25.4	56.1%	66.4%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	2.7	1.3	36.0%	47.3%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.2	47.0	32.5	51.4%	69.1%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.0	3.1	2.7	68.1%	88.0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114.0	83.1	66.0	57.9%	79.3%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	23.7	25.4	81.2%	107.2%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადასახდელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	14.0	6.0	23.9%	42.6%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	34.5	26.4	59.8%	76.5%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	7.9	5.4	56.7%	69.3%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	1.1	1.6	119.3%	141.5%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	2.0	1.2	45.9%	61.1%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	605.9	318.0	39.7%	52.5%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	15.6	8.1	38.2%	51.7%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	1.6	1.1	52.5%	69.1%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	1.2	1.0	81.4%	82.1%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	1.4	1.0	56.0%	72.0%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	25.5	20.0	59.6%	78.1%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	114.8	55.7	36.6%	48.5%
24 07	მენარმეობის განვითარება	304.9	217.3	112.5	36.9%	51.8%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	3.7	2.4	48.6%	64.8%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	213.6	110.1	36.7%	51.5%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	72.0	32.4	40.0%	45.1%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.8	0.6	79.3%	81.1%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	18.5	2.5	11.4%	13.5%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	10.0	10.0	83.1%	99.5%
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	3.4	0.2	3.6%	5.3%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	2.0	1.5	51.6%	77.4%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	97.7	57.3	45.8%	58.6%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	92.7	50.4	42.0%	54.4%
24 14 01 01	500 კვ ევბ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	30.0	15.3	38.2%	50.9%
24 14 01 02	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW)	15.0	12.0	3.4	22.6%	28.3%
24 14 01 03	500 კვ ევბ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	25.0	18.7	16.9	67.8%	90.6%
24 14 01 04	გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)	20.0	16.8	7.3	36.3%	43.1%
24 14 01 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	5.0	3.5	3.6	71.4%	103.4%
24 14 01 06	„ხელედულა-ლაჯანური-ონი“ (KfW)	15.0	11.8	4.0	26.7%	34.1%
24 14 02	შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)	5.0	5.0	0.0	0.0%	0.0%
24 14 04	საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა	0.0	0.0	6.8		
24 14 04 01	500 კვ ევბ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EU, KfW)	0.0	0.0	6.8		
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	0.7	0.3	9.4%	50.0%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	1.4	1.1	1.1	78.0%	99.3%
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	2.7	1.4	41.1%	51.7%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	5.6	5.6	5.6	100.5%	100.5%
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	1.1	0.0	0.0%	0.0%
